უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№9 (88) 2018

ახალი სასწავლო წელი უნივერსიტეტში

ყველაზე მაღალრეიტინგულები – საკუთარი მოლოდინებისა და გეგმების შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100 წლის იუბილეს სტუდენტებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან და პირველკურსელების მეასე საიუბილეო ნაკადთან ერთად აღნიშნავს.

უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი 17 სექტემბერს დაიწყო. 4432 აბიტურიენტი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. აქედან 50%-ზე მეტმა სასწავლო გრანტი მოიპოვა.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით, 2018 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყველაზე მეტი, 7945 აბიტურიენტის პირველი არჩევანი იყო. მათ შორის იყვნენ ისინი, ვინც ეროვნულ გამოცდებზე ყველაზე მაღალი რეიტინგი დააგროვეს.

საქართველოს ყველაზე მაღალრეიტინგული პირველკურსელი დემურ მერკვილაძე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. დემურთან ერთად, საკონკურსო ქულებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტები თამარ რაზმაძე და თათია სებისკვერაძე არიან. მათ სახელს და გვარს საქართველოს მასშტაბით საუკეთესო შედეგების მქონე პირველკურსელების ოცეულშიც შეხვდებით.

სასწავლო წლის გახსნის ღონისძიებაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგად სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე ჩარიცხული ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტები სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. ისინი უნივერსიტეტის შესახებ მოლოდინებზე, არჩეულ სპეციალობებსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრებიან.

გაგრძელება მე-2 გვ.

თსუ KM3NeT ექსპერიმენტში

2018 წელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, სხვა მნიშნელოვან მოვლენებთან ერთად, ერთი განსაკუთრებული სამეცნიერო სიახლითაც იქნება გამორჩეული – სექტემბერში ოფიციალურად გაფორმდა მემორანდუმის ფორმატით უნივერსიტეტის ჩართულობა ნეიტრინული ფიზიკის და ასტროფიზიკის უმსხვილეს საერთაშორისო სამეცნიერო პროექტში KM3NeT.

KM3NeT ნეიტრინული ფიზიკის და ასტროფიზიკის საერთაშორისო სამეცნიერო პროექტია, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კერძოდ კი მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი 2017 წელს შეუერთდა. ამჟამად ამ თანამშრომლობაში 15 ქვეყნის სამეცნიერო კვლევითი ცენტრები და უნივერსიტეტები მონაწილეობენ.

თანამშრომლობის მიზანია ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე განალაგოს ნეიტრინული დეტექტორები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნება კვლევების ჩატარება ნეიტრინულ ფიზიკასა და ასტროფიზიკაში. KM3NeT რთული და ძვირადღირებული სამეცნიერო პროექტია, რომლის განხორციელება რამდენიმე ეტაპად არის დაგეგმილი. ამ ეტაპზე (KM3NeT 2.0) მიმდინარეობს დეტექტორების განლაგება იტალიისა და საფრანგეთის სანაპიროებთან. აღსანიშნავია, რომ KM3NeT ზღვაში განლაგებულ საკვლევ-ინფრასტრუქტურას წარმოადგენს, რომლის დახმარებით მულტიდისციპლინარული კვლევების ჩატარება იქნება შესაძლებელი ზღვის და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში (მაგალითად ოკეანოლოგია, ზღვის ბიოლოგია, სეისმოლოგია).

საქართველოს მხრიდან პროექტის მონაწილე და ჯგუფის ხელმძღვანელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ შანიძე გვესაუბრება:

„სამყაროს შესასწავლად სხვადასხვა ფიზიკური ხელსაწყო და დეტექტორი გამოიყენება, რაც მაგალითად ცნობილია ATLAS da JEDI ექსპერიმენტების სახელით, რომლებშიც ინსტიტუტი მონაწილეობს. პირველი დეტექტორი სამყაროს შესასწავლად ადამიანის თვალი იყო. მრავალსაუკუნოვანი დაკვირვებების შედეგად ჩამოყალიბდა ასტრონომია, ერთი პირველი მეცნიერება, რომელიც ციურ სხეულებსა და მათ მოძრაობას სწავლობს. დღეს ვიცით, რომ ადამიანის თვალით მხოლოდ სამყაროს მცირე ნაწილის დანახვაა შე-

გაგრძელება მე-3 გვ.

აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსები და საბავშვო უნივერსიტეტი-ნაბიჯი წარმატებისკენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბავშვო უნივერსიტეტი და მოსამზადებელი განყოფილება უნიკალური საშუალებაა უნივერსიტეტი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეობის ასაკში გაიცნო. საერთო ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსები კი უკვე არა ერთი აბიტურიენტისთვის გახდა წარმატების საფუძვლის შემქმნელი და წინაპირობა. თაკო აბდუშელიშვილი რუსთავიდან ერთ-ერთია მათ შორის ვინც აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების მიერ ორგანიზებული სწავლების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა. დღეს ის თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების სტუდენტია სწავლების ასპროცენტიანი დაფინანსებით.

„მას შემდეგ, რაც გავარკვიე, რომ აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსებზე უნივერსიტეტის ლექტორები ასწავლიდნენ, აქ მომზადების სურვილი გამიჩნდა.

დავრეკე და დავრეგისტრირდი. მინდოდა უნივერსიტეტში მათემატიკის მიმართულებაზე ჩავრიცხულიყავი და ამის საშუალება ცენტრის მასწავლებლების დახმარებით მომეცა. ერთი წლის განმავლობაში ოთხ საგანში ვემზადებოდი: მათემატიკაში, ინგლისურში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში. რადგან ოთხ საგანში ვემზადებოდი, თანხა შეღავათიანი იყო: 2520 ლარი, მაშინ როდესაც იგივე საგნებში რეპეტიტორთან მომზადება 4000 ლარზე მეტი გამოდიოდა. აქ გაკვეთილებზე კვირაში ორჯერ დავდიოდი. ერთ საგანში

გვ. 2

სტუდენტური პროექტები უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების კონკურსის მესამე ეტაპი 5 ოქტომბრამდე გაგრძელდება. მესამე ეტაპზე შემოსულ სამეცნიერო და კულტურულ/სპორტულ/საგანმანათლებლო სტუდენტურ პროექტებს სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭო 20 ოქტომბრამდე განიხილავს. სანამ 2018 წლის მესამე ეტაპზე შემოსული პროექტებს შორის გამარჯვებულები გამოვლინდებიან, წინა ეტაპებზე გამარჯვებულ ორ სტუდენტურ პროექტს გაგაცნობთ.

გვ. 3

„შემოდგომის ლეგენდა“ – ლიტერატურული დაბრუნება განსხვავებული ფორმატით

კახეთში, სოფელ კისისხევში სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის “შემოდგომის ლეგენდის“ 10 წლის იუბილემდე გასული წლების ყველა გამარჯვებული და ჟიურის წევრები წინასაიუბილეო კონკურსში შეხვდნენ ერთმანეთს. ლიტერატურული დაბრუნება განსხვავებული ფორმატით უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ეძღვნება.

კონკურსის მონაწილეები ორ ნაწილად გაიყვნენ: გასული წლების გამარჯვებულებმა საკონკურსო თემა ჟიურის წევრებისთვის მოიფიქრეს, ჟიურის წევრებმა კი თემა გამარჯვებულებს შესთავაზეს.

წერის პროცესი 12 საათს მიმდინარეობდა. კონკურსის გამარჯვებულებისთვის საინტერესო აღმოჩნდა ჟიურის წევრებისთვის თემის მოფიქრების პროცესი. რამდენიმე საათიანი განხილვის შემდეგ ჟიურის წევრებისთვის შეირჩა თემა „საავადმყოფო“, ხოლო კონკურსის გამარჯვებულებისთვის თემა „Offline“.

თითოეული მათგანს საკუთარი ფავორიტი ჰყავს, ამბობენ რომ შეუძლიათ გამოიცნონ ნაწერის მიხედვით ავტორი. კითხვაზე, თუ ყველაზე მეტად რომელი ჟიურის წევრის ნაწერი აინტერესებთ, პასუხად გამარჯვებულების უმეტესობამ, თსუ პროფესორი, ფილოლოგი ლევან გიგინეიშვილი დაასახელა.

გვ. 4

ახალი სასწავლო წელი უნივერსიტეტში

ყველაზე მაღალრეიტინგულები – საკუთარი მოლოდინებისა და გეგმების შესახებ

პირველი გვერდიდან

***

დემურ მერკვილაძე თსუ გუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოლოგიის მიმართულებაზე ისწავლის. თსუ-ში ჩაბარება დიდი ხნის წინ ჰქონდა გადაწყვეტილი. როგორც თვითონ ამბობს, ფაკულტეტზე ჩაბარებისკენ მოგზაურობის სიყვარულმა და ბუნებასთან სიახლოვის სურვილმა უბიძგა. ბავშვობიდან აინტერესებდა მზის სისტემის პლანეტები, მინერალოგია, ნამარხი ცხოველები და დინოზავრის ჩონჩხის აღმოჩენაზეც კი ოცნებობდა.

დემურ მერკვილაძე,
გუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

„ჩემი მთავარი გატაცება ლიტერატურა, კინემატოგრაფია და სპორტია. თავისუფალი დროის დიდ ნაწილს ვუთმობ კითხვას. უცხოელი მწერლებიდან ფიოდორ დოსტოევსკისა და ჯერომ სელინჯერის პიროვნებებს გამოვარჩევდი, ხოლო ჩემთვის განსაკუთრებით მიმზიდველი ნაწარმოებებია ყველა ქართველისათვის საამაყო შოთას „ვეფხისტყაოსანი“ და სერვანტესის „დონ კიხოტი“.

ჩემს არჩევანზე სხვადასხვა ფაქტორმა მოახდინა ზეგავლენა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა ყოველთვის საპატიოდ მიმაჩნდა. საქართველოში ყველაზე პრესტიჟული და სახელოვანი უმაღლესი სასწავლებლის შესახებ ბევრი რამ მამის – ისტორიის დოქტორისა და ამჟამად, თსუ აკადემიური საბჭოს წევრის, დავით მერკვილაძისგან მსმენია. უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო პარტნიორების მრავალფეროვნებამ ჩემი არჩევანი კიდევ უფრო განამტკიცა.

აღრეულ ბავშვობაში ნამარხი ცხოველებით დაინტერესდი და მშობლებმაც საბავშვო პალეონტოლოგიური ენციკლოპედია მაყიდეს. დინოზავრების შესახებ ისტორიებმა გამიტაცა და დაწყებითი კლასის მოსწავლე ერთ-ერთი მათგანის ჩონჩხის აღმოჩენაზე ვოცნებობდი. ამავე დროს ჩემი ყურადღება მიიპყრო ასტრონომიამაც. პატარაობაშივე შევისწავლე მზის სისტემის პლანეტების განლაგება, მათი თვისებები, თანამგზავრები და ა. შ. მოგვიანებით მინერალოგიამ დამაინტერესა. საქართველოს სხვადასხვა კუთხის მონახულების შემდეგ სახლში იქ აღმოჩენილი „ძვირფასი“ ქვებით დაგვირთული ვბრუნდებოდი,“ – ამბობს დემური.

მის ცხოვრებაში სპორტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, თავისუფალ დროს ფილმებს უყურებს და როგორც თვითონ ამბობს, უმეგესად შინაარსობრივ მხარეზე ორიენტირებული ფილმები იზიდავს.

„არსებობს ფილმები, რომლებსაც შეუძლია რაიმე მნიშვნელოვანზე ჩაგაფიქროს, საკუთარი თავი და ცხოვრებისეული საკითხები უკეთ დაგანახოს და თვითგანვითარებისაკენ გიბიძგოს. ამის მაგალითია, ჩემთვის ერთ-ერთი გამორჩეული ფილმი, თანამედროვე გერმანული კინემატოგრაფიის ნიმუში – „სხვების ცხოვრება“ (Das Leben der Anderen).

სპორტი ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ვფიქრობ, რომ ადამიანისთვის გონებრივ განვითარებასთან ერთად ფიზიკური სრულყოფაც აუცილებელია. აბიტურიენტობამდე ვსწავლობდი კარატეს საბრძოლო ხელოვნებას. მიყვარს ცურვა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში წყალბურთის გუნდშიც ვთამაშობდი.

როდესაც მომავალი პროფესიის არჩევის დრო მოახლოვდა, საკუთარი ინტერესების მიხედვით ვიხელმძღვანელე. გადაწყვეტილების მიღება იოლი არ ყოფილა, ვინაიდან საკმაოდ ფართო ინტერესების სფერო ჩამომიყალიბდა. საბოლოოდ, გეოლოგიის არჩევისაკენ მოგზაურობის სიყვარულმა და ბუნებასთან სიახლოვის სურვილმა მიბიძგა. იმედი მაქვს, რომ უნივერსიტეტში სწავლის ოთხ წელიწადში ჩემს სპეციალობას კარგად შევისწავლი. საქართველოში გეოლოგიის წინსვლაც გარდაუვლად მომაჩნია, რადგან ამ საკმაოდ გამოსადეგ სფეროში არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა იწყებს მოღვაწეობას.

მომავალში მდგრადი განვითარების სფეროში მოღვაწეობას ვგეგმავ. დღეს კაცობრიობისთვის აუცილებელია ისეთი ჯანსაღი და ეფექტიანი გზების მოძიება, რომლებიც ეკონომიკის განვითარებას ადამიანის ჯანმრთელობისათვის უფრო უსაფრთხოს გახდის და ბუნებასაც, რაც შეიძლება ნაკლებად დააზარალებს. საბოლოოდ ჩემი მიზნები და სურვილები ჩემს ქვეყანას უკავშირდება. რეალობისგან დაშორებული ოცნებები არ მაქვს, ასე რომ ქართული სახელმწიფოს გაძლიერება და გამთლიანება ჩემი, ისევე როგორც ყოველი ნამდვილი ქართველის, უმთავრესი საფიქრალია.

წარმატების რაიმე განსაკუთრებული „ფორმულა“ არ გამაჩნია, შესაბამისად, მომავალ აბიტურიენტებს ვურჩევ, რომ პირველ რიგში საკუთარი შესაძლებლობების იარწმუნონ. ვფიქრობ, რომ სწორად შერჩეული მიზანდასახულობითა და თავდაუმოგავი შრომით ბევრი რამის მიღწევა შეიძლება,“ – ამბობს დემური.

***

თათია სებისკვერაძემ თსუ-ში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა, ამბობს, რომ საკუთარი მიზნის მიღწევისთვის თსუ საუკეთესო გზაა.

თათია სებისკვერაძე,
სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა კომპიუტერული მეცნიერებები:

„პროფესიის არჩევა ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. სწორედ ეს გადაწყვეტილება განსაზღვრავს ჩვენს მომავალს. ამიგომ დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად სწორად გავაკეთებთ არჩევანს. მე საკუთარ თავს კომპიუტერული მეცნიერების დარგში ვხედავდი და შესაბამისი არჩევანი გავაკეთე. ჩემი მიზნის მიღწევისთვის თსუ საუკეთესო გზაა.

სან დიეგოსა და თსუ-ს პარტნიორობით შესაძლებლობა მეძლევა საუკეთესო განათლება მივიღო საქართველოში. ვფიქრობ, პროფესიონალ ლექტორებთან ერთად მუშაობა ჩემი წარმატებული მომავლის საწინდარია. საკუთარი გამოცდილებით ვისწავლე, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელს, ამიგომ მომავალ სტუდენტებს ვურჩევ, მაღალი ხარისხის განათლებისთვის აირჩიონ ისეთი უნივერსიტეტი, რომელიც ყველანაირად უზრუნველყოფს და შესაძლებლობას მისცემს, იქცნენ პროფესიონალებად. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემი გადაწყვეტილება სწორია,“ – ამბობს თათია.

თამარ რაზმაძე, გუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის მიმართულება

„სიმართლე რომ ვთქვა, დიდი ხნის განმავლობაში სასურველი პროფესია არჩეული არც მქონდა. თუმცა, აბიტურიენტობისას დამატებით საგნად გეოგრაფიის არჩევის შემდეგ, დაახლოებით ბოლო ორი თვის განმავლობაში, მივხვდი, რომ ეს არის ის საგანი, რომელთანაც მინდა ჩემი მომავალი პროფესია იყოს დაკავშირებული. ხოლო როცა მეკითხებიან, რა უნდა გამოვიდე, ჩემი პასუხი ასეთია – მასწავლებელი ან უბრალოდ დავსაქმდე სხვა სფეროში, რომელიც საშუალებას მომცემს უფრო საფუძვლიანად შევისწავლო გეოგრაფია.

რატომ თსუ? ვფიქრობ, რომ ეს არის ის ადგილი, რომელიც არა მარტო გამიმართლებს იმედებს, არამედ მომცემს იმაზე მეტს, ვიდრე აქ მოსვლამდე ვფიქრობდი. ჩემი იმედები კი ისედაც დიდი იყო – საინტერესო ლექციები, მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება და სხვა მრავალი დადებითი შემოთავაზებები და შთაბეჭდილებები.

ჩემ ინტერესებზე თუ ვისაუბრებ – ვცდილობ თავისუფალი დრო წიგნებს, კროსვორდებსა თუ „სუდოკუს“ დავუთმო. ხანდახან განსატვირთად ფილმებსაც ვუყურებ, თუმცა არც საყვარელი წიგნი მაქვს და არც საყვარელი ფილმი. ვფიქრობ, რომ თითოეულ მათგანში დევს ისეთი ღირებული იდეა, აზრი თუ შთაგონება, რომელიც რაღაც მნიშვნელოვანს გვაძლევს და გვასწავლის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ძნელია იგი დავინახოთ.

ვერ ვიტყვი, რომ მომავალზე არ ვფიქრობ, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ოცნებას საკუთარ თავსაც კი არ ვუმხელ ბოლომდე. მომავალში კი საკუთარ თავს ვხედავ იმ პროფესიის ადამიანად, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული იქნება გეოგრაფიასთან.

„წარმატების ფორმულა ასე გამოხატული არ მაქვს, უბრალოდ უნდა გვჯეროდეს და არასდროს არ უნდა დავკარგოთ იმედი საკუთარი თავის, სამყაროსა და ღმერთის,“ – ამბობს თამარი.

***

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველაზე რეიტინგული პირველკურსელი მერი ულუმბელაშვილი ინგლისური ლიტერატურის ქართულად თარგმნასა და ბევრი წიგნისა და ლექსიკონის გარემოცვაში ყოფნაზე ოცნებობს. როგორც მერი ამბობს, გრიგოლ რობაქიძის "გველის პერანგი" ის წიგნია, რომელსაც ხშირად უბრუნდება და ყოველ ჯერზე აღაფრთოვანებს.

მერი ულუმბელაშვილი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

„საკმაოდ აღრეული ასაკიდანვე ბევრი ადამიანისგან მესმოდა, თუ რამდენად გამორჩეული, ძლიერი და დაწინაურებული უნივერსიტეტი იყო თსუ. ბევრად აღრე, ვიდრე სპეციალობას ავირჩევდი, გადაწყვეტილი მქონდა რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა მესწავლა, ვინაიდან ჭკეროდა მისი პირველობის. რაც შეეხება სპეციალობას, ინგლისური ფილოლოგიის არჩევა ჩემი ამ ენისა და ინგლისური ლიტერატურის დიდმა სიყვარულმა განაპირობა. იმედი მაქვს და თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი 4 წლის მანძილზე ეს უნივერსიტეტი გაამართლებს ჩემს მოლოდინებს, მომცემს ჯეროვან განათლებას თეორიულ თუ პრაქტიკულ ასპექტში და სამომავლო კარიერისთვის სათანადოდ მომამზადებს.

ჩემი ინტერესები ძირითადად ისევ ლიტერატურას და ხელოვნების სხვა დარგებს უკავშირდება. გარდა იმისა, რომ აქტიურად ვკითხულობ თანამედროვე და კლასიკურ ინგლისურენოვან ლიტერატურას, ასევე მიტაცებს ფოტოგრაფია და მხატვრობა. თუმცა ბოლო ორი დარგი მხოლოდ ჰობია და პროფესიულ დონეზე მათ შესწავლას ჯერჯერობით არ მოვიამზრებ.

ცხოვრების განსხვავებულ ეტაპზე განსხვავებული წიგნია ჩემი ფავორიტი, თუმცა ფილმებს შორის "მებრძოლთა კლუბი" ჩემი უცვლელი ფავორიტია. ვოცნებობ, რომ რაც შეიძლება მალე დანამდვილებით ვთქვა სიტყვები, "ახლა სწორედ იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო".

აბიტურიენტებს ვურჩევდი იმას, რასაც საკუთარ თავს მოვუწოდებდი მთელი აბიტურიენტობის მანძილზე – გააკეთონ საკუთარი მაქსიმუმი, რათა არასდროს იგრძნონ თავი დამნაშავედ, არასაკმარისად მიღწეული წარმატების გამო. და რა თქმა უნდა, სწამდეთ საკუთარი თავების,“ – ამბობს მერი.

***

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საერთაშორისო მიმართულების სტუდენტებს შორის ყველაზე რეიტინგული დავით თურქია გახდა. ოცნებობს თავისუფლებაზე, წერა, ხელოვნება და ღამის ცხოვრება მისი ყველაზე დიდი ინტერესებია. როგორც თვითონ ამბობს, ამ მიმართულებაზე ჩაბარება, საკუთარი თავისა და მსოფლიო საზოგადოების შეცვლის სურვილმა უბიძგა.

დავით თურქია,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

„თსუ დაარსების დღიდან ითვლება ქართული განათლების სიმბოლოდ. იყო მისი წარმომადგენელი, უკვე პატივია. საერთაშორისო ურთიერთობები მეჩვენება მიმართულებად, რომელიც გაძლევს შესაძლებლობას, საკუთართან ერთად, შეცვალო მსოფლიო საზოგადოება. ეს სფერო დიდი და მრავალფეროვანია, ამიგომაცაა საინტერესო.

ველი შესაძლებლობებს, რომლებიც მომცემენ ჩვენი თუ სხვათა სისტემების შესწავლის საშუალებას, გაცვლითი პროგრამებით მიღებულ გამოცდილებასა და შთაბეჭდილებებს. ველი ადამიანებს, პედაგოგებსა თუ თანაკურსელებს, რომლებიც ცოდნითა თუ ურთიერთობით დადებითად შემცვლიან, კონკურენციითა და სწავლის სართულით მომცემენ წინსვლის მოგივაცეას. მგონია, შემიძლია ვიყო აბიტურიენტებისთვის ერთგვარი მოტივაცია. იმ ადამიანებისთვის, რომლებიც გვიან იწყებენ ფიქრს განათლებასა და მომავალზე. ზოგადი ერუდიცია, ყურადღების გამახვილება საგამოცდო ტესტების თავისებურებებზე და ზომიერი შრომა, ვფიქრობ საკმარისია, რომ წარმატებას მიაღწიო“, – ამბობს დავითი.

***

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ყველაზე რეიტინგული სტუდენტი პეტრე მერაბიშვილია. მისი საყვარელი წიგნი „ვეფხისტყაოსანია“, ფილმი კი „სპაიდერმენი“. პეტრე მსოფლიოს გარშემო მოგზაურობაზე ოცნებობს.

პეტრე მერაბიშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

„თსუ, ჩემი აზრით, საქართველოში პირველი უნივერსიტეტია, ISET-ის ფაკულტეტი კი იმიგომ ავირჩიე, რომ ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს სწავლება. დიდად მოტივირებული ვარ და იმედი მაქვს უნივერსიტეტი მომცემს ისეთ განათლებას, რომელიც ცხოვრებაში გამომადგება.

ზოგადად, ყველაფრით ვარ ასე თუ ისე დაინტერესებული: მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება. მიყვარს კითხვა, ხატვა, მომავალ აბიტურიენტებს ვურჩევ გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა და მიიღონ, რაც შეიძლება მეტი ცოდნა“, – ამბობს პეტრე.

***

ცაბუნა ნაკულაშვილი იურიდიული ფაკულტეტის ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტია. მომავალში თავი განათლების მინისტრად წარმოუდგენია. საყვარელი წიგნია „ტრიუმფალური თაღი“, ფილმი კი – The Martian, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, თავისუფალი დრო თითქმის არ აქვს, როცა აქვს, ძირითადად ფეხბურთს უყურებს.

ცაბუნა ნაკულაშვილი,
იურიდიული ფაკულტეტი

„დიდი ხანია, რაც გადაწყვეტილი მაქვს სამართლის განხრით სწავლის გაგრძელება. ამ მიმართულებაში თსუ უკონკურენტოა და ამიგომ ბევრი არც მიფიქრია გადაწყვეტილების მიღების დროს. დარწმუნებული ვარ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. თავიდანვე ვაცნობიერებდი, რომ ეს წელი იქნებოდა ბევრად რთული და დატვირთული, ვიდრე თუნდაც აბიტურიენტობის წელი იყო. მიუხედავად ამისა, ყველაფრისთვის მზად ვარ და ვეცდები გამოვაელინო ჩემი მაქსიმუმი.

თავისუფალი დრო თითქოს არ მაქვს, მაგრამ რეალურად ყველაფერს ვასწრებ. უდიდეს დროს ვატარებ მეგობრებთან ერთად. სხვა შემთხვევაში, ძირითადად, ფეხბურთს ვუყურებ ხოლმე. მაგრამ ეცდილობ ჩემი თავისუფალი დრო მაქსიმალურად პროდუქტიული იყოს. ძალიან ბევრ პროექტში ვიღებ მონაწილეობას, რაც, მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერში მეხმარება და ვფიქრობ, ყველა ჩემი ასაკის ადამიანს ჰაერივით სჭირდება.

ჩემი ოცნება არის რაღაცის მიღების აკვიატებული, გადაჭარბებული ღომით სურვილი, რასაც მთელ რიგ შემთხვევებში განხორციელება არ უწერია. იწვევს ნერვულ დისბალანსს. ამიგომ არ ვოცნებობ, ვაკეთებ რასაც მინდა, ან ვცდილობ მაინც თუ არ გამომდის.

მომავალ აბიტურიენტებო, პირველ რიგში, ვეტყვით იმას, რომ შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები რელევანტურად და რაც მთავარია, თავად. რა თქმა უნდა, მშობლის, მასწავლებლის აზრიც გასათვალისწინებელია, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ გადაწყვეტილებას იღებთ მხოლოდ თქვენ და თქვენს მინიმუმ 1 წლის ცხოვრებას განსაზღვრავთ ეროვნულ გამოცდებზე გასვლით. მე არასდროს არ ვყოფილვარ გამორჩეული მოსწავლე სკოლაში განათლების კორუფციული სისტემის გამო, მაგრამ ამან ვერაფერი დამაკლო. პირიქით, ეძიეთ მოტივაცია საკუთარ თავში და იცოდეთ, რომ თუ მიზნის მიღწევა გინდათ, ყველაფერს ნაბიჯნაბიჯ უნდა მიუახლოვდეთ და არც ერთი ამ ნაბიჯის გამოტოვება არ შეიძლება.

ყველაზე მთავარი – რაც გამოცდებს და უნივერსიტეტებს ეხება, თავად წაიკითხეთ ოფიციალურ საიტებზე. უამრავი "მითია" საზოგადოებაში და 90% შემთხვევაში აბიტურიენტებს არასწორი ინფორმაცია აქვთ ყველაფერზე. გამოცდა არის ბულკი, ტორტი, ნამცხვარი, რაც გინდათ ის დაარქვით. თუ მომზადებული ხარ, ისიც იცი, რა დონეზე დაწერ და სანერვიულოც არაფერია. მე პირადად, ყველაზე მეტად ის დამეხმარა, რომ უემოციო ვარ ასეთ უბრალო საკითხებთან მიმართებაში. მიუდექით საკითხს მარტივად – თუ ჩაიჭერი, ამით არაფერი შავდება და ბევრად უარესი რაღაცებიც ხდება ცხოვრებაში. საერთოდ არაა გამოცდები ისეთი მნიშვნელოვანი, როგორადაც წარმოგვიდგენენ, “ – ამბობს ცაბუნა.

***

მედიცინის ფაკულტეტის ყველაზე რეიტინგული პირველკურსელი ანა ჟუჟუნაშვილია. ანა თავისუფალ დროს ცეკვავს ბალეტს, უყვარს მუსიკა, კითხვა და მეგობრებთან ყოფნა. თავის მომავალს ექიმის პროფესიას უკავშირებს.

ანა ჟუჟუნაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტი

„მედიცინა საინტერესოა იმით, რომ სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს, უდიდეს ცოდნასა და ენერგიას მოითხოვს. ვფიქრობ, მაქვს უნარი და შესაძლებლობა, ამ დარგში ვთქვა ჩემი სიტყვა. თსუ საქართველოში პირველი უნივერსიტეტია, რომელიც უკვე საუკუნეს ითვლის და კვლავ ლიდერია უნივერსიტეტებს შორის. უნივერსიტეტისგან ველი კვალიფიციურ ექიმებთან მუშაობას, პროგრამებში ჩართვას, რაც მომცემს შესაძლებლობას გავიღრმავო ცოდნა უცხოეთში.

მომავალ აბიტურიენტებს ვურჩევ საკუთარი მიზნების მისაღწევად თავდაუზოგავად იშრომონ და აუცილებლად მიაღწევენ წარმატებას. ჩემი მომავალი პროფესია განსაზღვრავს ჩემს მომავალს. ჯერ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი. ექიმის პროფესია საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლოა. მაქვს სურვილი ავიღო პასუხისმგებლობა და გავხდე პროფესიონალი ექიმი,“ – ამბობს ანა.

***

ჩვენი შემდეგი რესპოდენტი ოცნებობს, რომ იყოს „დამჭერი ჭვავის ყანაში“. მარიამ აბაშიძე ფსიქო-

მე-4 გვერდზე

სტუდენტური პროექტები უნივერსიტეტში

პირველი გვერდიდან

თსუ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების სტუდენტების: ანა ვარდოსანიძის, მირანდა შეყრილაძისა და მარიამ გვარამიას პროექტმა „სალონური საღამოები უფროსკლასელებისთვის“ 2017 წელს თსუ სტუდენტური პროექტების დაფინანსების კონკურსში გაიმარჯვა.

პროექტის მიზანი იყო უცხოური და ქართული თანამედროვე ლიტერატურის პოპულარიზება უფროსკლასელებში, ასევე სხვადასხვა თანამედროვე გამოცემასა და ლიტერატურულ საღამოებზე მომზადებული პოდკასტებისა და ფოტორეპორტაჟების გაცნობა.

სტუდენტური ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, მარიამ გვარამია პროექტის მიმდინარეობისა და მიღებული შედეგების შესახებ გვესაუბრება.

„ჩემს გარდა გუნდში კიდევ ორი სტუდენტი იყო, რომლებთან ერთადაც არასამთავრობო ორგანიზაციაში რადიო გადაცემებზე ვმუშაობდი. იქაც გადაცემები ძირითადად წიგნებსა და ლიტერატურას ეხებოდა, ამიტომ გადავწყვიტეთ ამ იდეისთვის უფრო ფართო მასშტაბი მიგვეცა. ჩვენს მენეჯერთან ერთად დავწერეთ პროექტი, რომელიც მიბნად ისახავდა სკოლებში მოსწავლეებისთვის იმ ლიტერატურის გაცნობას, რომელიც არასაპოგრამოა, მაგრამ მნიშვნელოვანი. მენეჯერმა და კოორდინატორმა შეიტანეს განაცხადი. თავიდან თითქოს არ ველოდით დაფინანსებას, მაგრამ საბოლოოდ დადებითი პასუხი მოვიდა, რამაც ძალიან გაგვახარა.

პროექტის მონაწილეები დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით. ამან, კიდევ უფრო შეკრა და გააერთიანა ჩვენი გუნდი და იმ დროის მანძილზე ძალიან დაგვაახლოვა.

გარდა იმისა, რომ პროექტი გვინდოდა უფრო მრავლისმომცველი ყოფილიყო, გვსურდა ასევე მოსწავლეებისთვის რიგი საკითხები განსხვავებულად გვეჩვენებინა. დიდი პასუხისმგებლობა ავიღეთ ჩვენს თავზე, როცა ლიტერატურაზე ვესაუბრებოდით, წიგნებს ვურჩევდით, მათ კითხვებს ვპასუხობდით, მაგრამ ბოლოს ყველაფერი ზუსტად ისე გამოვიდა, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა.

პროექტის მანძილზე ჩვენ 12 სკოლას ვესტუმრეთ თბილისის მასშტაბით. თვეში დაახლოებით სამ ან ოთხ სკოლაში მივდიოდით. ჩვენი კოორდინატორი უკავშირდებოდა სკოლებს და ის გეგმავდა შეხვედრებს, ლექციებს.

სირთულეს წარმოადგენდა ის, რომ თავიდან სკოლები უნდობლობით გვეკიდებოდნენ და გაგვიჭირდა მათი დარწმუნება ჩვენი სტუმრობის კეთილგანწყობაში. სკოლები რაიონების მიხედვით დალაგდა და ამით მთელი თბილისი მოვიცავით, შეძლებისდაგვარად.

გაძნელდა წიგნების შერჩევის პროცესი, რომლებიც ასევე დავყავით ქართველ და უცხოელ მწერლებად. დიდხანს ვკამათობდით, ვმსჯელობდით მათ შესახებ, დაღებით და უარყოფით მხარეებს ვაანალიზებდით, მოკლედ, დიდი და რთული სამუშაო გავწიეთ. თითოეული ლექციის შემდეგ მოსწავლეებს ვაძლევდით თემებს, რომლის შესახებაც მცირე ამბავი უნდა დაეწერათ და გადმოეგზავნათ. პროექტის ბოლოს ჩვენ 12 გამარჯვებული მოსწავლე დავაჯილდოვეთ.

ეს იყო ყველაზე კარგი პერიოდი ჩვენთვის. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ბოლო კურსზე ვიყავი და სხვა საქმეებიც უამრავი მქონდა, დიდი სიამოვნებით ჩავერთე ამ აქტივობაში. გავიცანით ბევრი საინტერესო მოსწავლე და მასწავლებელი, საკუთარი თვალით ვნახეთ განათლების სისტემის ხარვეზები, მოსწავლეების დამოკიდებულება წიგნებისამდი, ერთმანეთისადმი, უფროსისადმი.

ჩვენ პროექტში ჩავრთეთ თანამედროვე ქართველი მწერლებიც. მინდა აღვნიშნო მათი ენთუზიაზმი, როცა ამ პროექტის შესახებ ვუყვებოდით. ერთ-ერთი საინტერესო შეხვედრა გაიმართა ლაშა ბუღაძესთან ერთად, რომელსაც მოსწავლეების დიდი რაოდენობა დაესწრო. გიორგი კეკელიძემ კი საკუთარი წიგნები გადასცა მოსწავლეებს საჩუქარად ავტოგრაფითურთ.

საბოლოო ჯამში, როცა დასკვნითი ღონისძიება ჩავატარეთ და გამარჯვებული მოსწავლეები გამოვავლინეთ, ყველამ ერთხმად აღნიშნა, თუ როგორ სჭირდება მსგავსი პროექტები სკოლას. ეს იყო ძალიან დიდი გამოცდილება, სიამოვნება და საქმე, რომელმაც ბევრი რამ გვასწავლა.

ვიმედოვნებ, რომ კიდევ დიდხანს გაგრძელდება მსგავსი პროექტების დაფინანსება თსუ-ში, რაც სტუდენტებს მეტ მოტივაციას შემატებს აკეთონ მათთვის და საზოგადოებისთვის სასარგებლო რამ“, – ამბობს მარიამი.

მეორე პროექტი, რომელმაც თსუ სტუდენტური პროექტების დაფინანსების კონკურსში გაიმარჯვა 1978 წლისა და 1989 წლის მოვლენებს ეხება. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების, სრული პროფესორის მალხაზ მაკაბერიძისა და პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ინიციატივით, შეიკრიბა მკვლევართა ჯგუფი, რომლებმაც შეისწავლეს სტუდენტური მოძრაობების ისტორია 1978 და 1989 წლებში. მათ საპროტესტო გამოსვლებში მონაწილე იმ პერიოდის სტუდენტების გამოიკითხეს, რესპოდენტებს შორის არიან თსუ პროფესორებიც: თამარ ჩხეიძე, გიორგი ოთხმეზური, ზურაბ პაპასქირი, მერი ტორაძე.

ზეპირი ისტორიები ორ ნაწილად იყოფა – პირველი ეხება 14 აპრილს გამართულ აქციას, რომლის დამსახურებითაც ქართულმა ენამ შეინარჩუნა სახელმწიფო ენის სტატუსი, მეორე კი – 9 აპრილის მოვლენებს.

სტუდენტური ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრი, ელენე ჩიტიშვილი იხსენებს, რომ პროექტის განხორციელების შესახებ იდეა ერთ-ერთ ლექციაზე დაიბადა. შემდგომ, ჩამოყალიბდა პროექტის მიზნები, ამოცანები, სამოქმედო გეგმა და მოსალოდნელი შედეგები.

„პროექტის ყველა მონაწილე პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ვართ. ერთად გავდიოდით საგანს - „ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესები საქართველოში“, რომელსაც გვიკითხავდა ჩვენი პროგრამის ხელმძღვანელი მალხაზ მაკაბერიძე. ერთ-ერთი სემინარის დროს განვიხილავდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლს საქართველოში მიმდინარე სხვადასხვა პროტესტებსა და პოლიტიკურ პროცესებში. სწორედ ასე გაჩნდა იდეა, შეიკრიბა მკვლევართა გუნდი: მე, თეონა ლაფერიშვილი, ანა გოგოჩიშვილი, გიორგი ბერიძე, გიორგი არობელიძე, გიორგი ქაფიანიძე, გიორგი სოფრომაძე და შემართებით დავიწყეთ უნივერსიტეტში დაწყებული პროტესტების ზეპირი ისტორიების კვლევა. იქედან გამომდინარე, რომ დემონსტრაციების ისტორიების ერთ წიგნში ჩატევა ვერ მოხერხდებოდა, გადავწყვიტეთ ჩვენი კვლევითი საქმიანობა კონკრეტული პერიოდით დაგვეწყო, რისთვისაც შევარჩიეთ 1978 წლისა და 1989 წლის მოვლენები. პირველი ეხება 14 აპრილს ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დასაცავად გამართულ აქციას, მეორე კი 9 აპრილის მოვლენებს, რომელიც მომიტინგეების არნახული სისასტიკით დარბევითა და სიკვდილით დასრულდა.

პროექტის მიმდინარეობა რამდენიმე ეტაპად დავყავით. თავდაპირველად დავიწყეთ მოსამზადებელი სამუშაოებით, მოგვიანებით გადავედით კვლევის პროცესზე, მონაცემთა დამუშავებასა და ანალიზზე, რომლის შედეგებიც გადავუგზავნეთ რედაქტორს. ტექნიკური რედაქტირების, კორექტირებისა და დიზაინის შერჩევის შემდეგ კი გადავეცით სტამბას.

უმთავრესი სირთულე დაკავშირებული იყო რესპონდენტების მოძებნასთან. ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენდნენ ის ადამიანები, რომლებიც 1978 და 1989 წლის გამოსვლებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდნენ. თუმცა, რამდენიმე რესპონდენტის პოვნის შემდეგ, თოვლის გუნდის პრინციპით გავედით სხვა რესპონდენტებზე. ასევე იყო შემთხვევები, როდესაც რესპონდენტები ინტერვიუს ჩაგარებაზე არ გვთანხმდებოდნენ. კვლევის მიმდინარეობისას ასევე წავაწყდით ბიუროკრატიულ სირთულეებს, რაც გამოიხატა რედაქციის მიერ წიგნის რედაქტირებასთან დაკავშირებულ პრობლემებში, რის გამოც ხელმეორედ დარედაქტირდა და დაკბბადნდა წიგნი.

ძალიან საინტერესო იყო ამ პროექტზე მუშაობა, უპირველესად იმიგომ, რომ რესპონდენტები, ჩვენს მსგავსად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ და მათთან ზეპირი ისტორიების ჩაწერის შედეგად ისეთი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა მოგვეცა, რომლის წერილობითი წყაროებიც პრაქტიკულად არ არსებობს. საოცარი შეგრძნებაა, როდესაც უშუალოდ მოვლენების მონაწილეებისაგან იღებ ინფორმაციას, რასაც თან ახლავს რესპონდენტების მიერ გამოხატული ემოციები. ერთ-ერთი რესპონდენტი ტირილით იხსენებდა 1989 წლის მოვლენებს – „მიუხედავად იმისა, რომ მორგში შესულს იქ ჩემი ახლობლები არ დამხვდა, მაინც შეშლილი და გაგიჟებული სახით გამოვედი - ნინო არ იყო, ლია არ იყო, ჩემები არ იყვნენ, მაგრამ რეალურად ყველა ჩემი იყო იქ“.

თითოეული რესპონდენტი ერთმანეთისგან განსხვავებული და საინტერესო იყო, შესაბამისად მათთან მუშაობაც მეტად საინტერესო აღმოჩნდა ჩვენი გუნდისთვის. ამასთანავე, მონაწილეებმა პროექტის წერის გამოცდილებაც მივიღეთ, რის ფარგლებშიც პროექტის შესრულების განრიგთან ერთად, გავწერეთ ბიუჯეტის სავარაუდო ვერსიაც.

